



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**  
**ბუღალტერი**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**პროფესიული განათლების საფეხური:** მესამე

**პროგრამის მოცულობა:** 30 კრედიტი

**პროგრამის ხანგრძლივობა:** 20 კვირა

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

**პროგრამის მიზანი** – პროფესიული პროგრამის მიზანია კვალიფიკაციური ბუღალტერ-მონაგარიშის მომზდება, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

**სწავლის შედეგი**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>იცის: სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპები და პროცესები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატები, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი და მისი ელემენტები; ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების არსი, სახეები, კვალიფიკაცია, აღრიცხვის თავისებურებები. ფინანსური ანგარიშების შედგენის მეთოდიკა. ბუღალტრული ციკლის ასახვის სპეციფიკა სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან - ფინანსური ანგარიშების ჩათვლით. ბიზნესის სამართალი და ეკონომიკის საფუძვლები;</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში</b></p>	<p>შეძლებს: არსებული სტანდარტული მეთოდების გამოყენებას და ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული კონკრეტული სამუშაოს შესრულებას</p>

<p><b>გამოყენების უნარი</b></p>	<p>(ბუღალტრული დოკუმენტაციის შედგენა, საბუღალტრო ოპერაციები, ბუღალტრული ანგარიშგება და ა.შ) წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დათვლას აღწერას და გამოთვლითი სამუშაოების შესრულებას;</li> <li>• პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას;</li> <li>• პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფითი უწყისების შედგენას;</li> <li>• ბუღალტრულ გატარებაში მინიშნებული ოპერაციების ასახვას;</li> <li>• ტიპური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვას ბუღალტრულ ანგარიშებში;</li> <li>• დანერგულ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანას, ოპერაციების კორექტირებას;</li> </ul> <p>საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადებას</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშგების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>აქვს უნარი: ბუღალტრის ეთიკური ნორმების დაცვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება და კლიენტურის დარწმუნება შესაბამისი საფინანსო-საბუღალტრო ტერმინოლოგიის გამოყენებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოკლედ ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება.</li> <li>• მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა;</li> <li>• ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე.</li> </ul> <p>საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი ქართულ და ინგლისურ ენაზე.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია:</p> <p>საბანკო, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>იცნობს:</p> <p>ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის პუნქტუალური, კომუნიკაბელური, მოწესრიგებული, კეთილსინდისიერი, მიზანსწრაფული, ყურადღებიანი.</p>

**დასაქმების სფეროები** – შეუძლია დაიკავოს ბუღალტერ-მონაგარიშის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში, ყველგან სადაც მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვა.